ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5198487

ნომერი: AR1788690

თარიღი : 21.11.2020

გაცემის თარიღი : 25.11.2020

გაცნობის თარიღი : 27.11.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა რაზმაძე , N 68;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლეილა წიქორიძე პ/ნ 01024006748
- ერისთავი - ხოშტარია/ბარნოვი ქ.ქ. 31/42ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს და იმსჯელოს თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობაზე საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი :

1თქვენი მოთხოვნის ტექსტის შინაარსის( განმარტების ) გათვალისწინებით იმისათვის რომ განიავდეს არსებული სათავსო და თანაც მოსაწყობი ხვრეტით არ დაირღვეს სამეზობლო მიჯნა, საჭიროა სავენტილაციო მილი აყვანილი იქნას შენობის სახურავის ნიშნულის ზედა დონემდე , რაც წინასწარ შეთანხმებული უნდა იქნას "ყაზტრანსგაზის"-სამსახურთან და წარმოდგენილი იქნას მათი თანხმობა განახლებული ფოტომონტაჟის მიხედვით განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ( რომ აღნიშნული სახით მოწყობის შედეგად დაცული იქნება უსაფრთხოების ნორმები);

2..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოდგენილი იქნას საპროექტო შენობის ფასადი ფოტოსურათი სამხრეთის და ჩრდილოეთის მხრიდან შენობებს შორის სივრცის ასახვით, ისე რომ აღქმადი იქნას საპროექტო შენობის ფასადის დიდი ნაწილი (იმ შემთხვევაში თუ მთლიანი შენობა კადრში ვერ ჩაეტევა)

3..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : - წარმოდგენილი იქნას ატვირთული ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებულ შეცვლილ ფოტომონტაჟთან ერთად ახალი კადრის ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟიც, რათა შესაძლებელი იქნას მისი ვიზუალური შეასება როგორ აღიქმება სამონტაჟო მილი ძირითადი ფასადების ხედებიდან

4- მონიშნეთ რუკაზე ან წარმოადგინეთ იმ ფართის ამონაწერი რომლისთვისაც ხდება სავენტილაციო მილის მოწყობა, საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფართის მესაკუთრის ან მოსარგებლის მიერ გაცემული მინდობილობა. იმ შემთხვევაში თუ ობიექტი მშენებარეა წარმოადგინეთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს რაზმაძის 68 -ის თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (ზოგადი შინარსიის ან მიუთითეთ თანხმობაში მიმდინარე განცხადების ნომერი, იმ შემთხვევაში თუ თანხმობის გაცემა მოხდეს კონკრეტულ პროექტზე საჭირო იქნება თანხმობასთან ერთად შესაბამისი დამოწმებული პროექტის თანხმობის წარმოდგენა). იმ შემთხვევაში თუ ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში, წარმოდგენილ იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი სათანადო წესით დამოწმებული მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრებაზე დამსწრე წევრთა რიცხვითი და პროცენტული რაოდენობის მითითებით, წარმოდგენილ იქნეს კრების ოქმი, რომელსაც დაესწრო ამხანაგობის 2/3 (67%) და კრებაზე განსახილველ საკითხს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა(ოქმის წარმოდგენის შემთხვევაშიც გაითვალისწინეთ მის შინაარსთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული შენიშვნები).

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა  მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად.  თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს  შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ  შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.